



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N001/14 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სოფო ტოლიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატმა გ. მ.-მ აიღო ვალდებულება სისხლის სამართლის საქმეზე და იპოთეკარებთან ურთიერთობისას წარმოედგინა თ. მ.-ს ინტერესები. ადვოკატი გ. მ. არ ატყობინებდა საჩივრის ავტორს შესაძლო სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ადვოკატმა არ გამოიყენა ყველა კანონიერი საშუალება კლიენტის უფლებების დაცვისთვის. საჩივრის ავტორი დროულად არ ყოფილა ინფორმირებული საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ადვოკატის მხრიდან.

პროცესუალური ისტორია

2014 წლის 8 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა თ. მ.-მ და მოითხოვა თავისი ადვოკატისთვის გ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შემდეგი ნორმების საფუძველზე: საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ არ ყოფილა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა და მას არ დაურღვევია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ გ. მ.-ს მიერ არ ჩადენილა დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად, მას არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

განახორციელა თუ არა ადვოკატმა კლიენტის მიმართ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა?

„ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები)

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი)

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისთვის განახორციელა შემდეგი ქმედებები: საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსს, ამავე დღეს ადვოკატმა წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტს, განცხადებით მიმართა იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს.



ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მას არ გააჩნია უფლებამოსილება, ადვოკატის მიერ არჩეული სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები ან საშუალებები სამართლებრივად არსებითად შეაფასოს. განხილვის კოლეგიის განმარტებით, ეთიკის კომისიის შეფასების ფარგლებს სცილდება ადვოკატის არაოფიციალურ შეხვედრებზე მსჯელობა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან თუ კერძო პირებთან კლიენტისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ადვოკატის მიერ დამატებით ნაკისრ მოვალეობას, რაც სცდება საადვოკატო საქმიანობას, თუმცა არ არღვევს ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებს.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ და არ დააკისრა ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან ვერ დაადგინა მის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომა.